## ახალქალაქელ ფერმერებს მარცვლეულის ამღები თანამედროვე კომბაინი მოემსახურებათ

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ქერისა და ხორბლის მარცვლეული კულტურების აღება აგვისტოში იწყება. საშუალოდ, 1ჰა მიწიდან ფერმერები 2500კგ-დან 2800კმ-მდე მოსავლის მიღებას ელიან. ქერისა და ხორბლის მოსავლის მასობრივი აღება მუნიციპალიტეტში სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდება. ასეთ დროს თავს იჩენს მთავარი პრობლემა, კომბაინების არასაკმარისი რაოდენობა. მუნიციპალიტეტში, საბჭოთა პერიოდის წარმოების დაახლოებით 50 კომბაინია და ისინი ძირითადად უკვე დაძველებულია.

ფერმერი არმენ პამბუხჩიანი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარცეფის მკვიდრია. მას მარცვლეული 20 ჰა მიწაზე აქვს დათესილი. წელს მოსავლის აღების შიში აღარ აქვს და სხვა ფერმერებსაც დაეხმარება საკუთარი კომბაინით. კომბაინის შეძენის საშუალება არმენს, ევროკავშირის მიერ გრანტის სახით გამოყოფილმა თანხამ მისცა.

“ინტერნეტით შევიტყვე საგრანტო კონკურსის შესახებ. მივმართე ახალქალაქის განვითარების ადგილობრივ ჯგუფს. მათ ამომწურავი ინფორმაცია მომაწოდეს პროექტის შედგენის შესახებ და სასარგებლო რჩევები მომცეს. პროექტმა გაიმარჯვა, ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებაც მივიღე და თანამედროვე კომბაინი შევიძინე”, - ამბობს ფერმერი.

პროექტის შედეგად დასაქმდა: 2 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 80,000.00 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 40,000.00 ლარი
თანადაფინანსება: 40,000.00 ლარი

მისივე თქმით, საქართველოს სხვა რეგიონებში მაგ; კახეთსა და შიდა ქართლში მოსავლის აღება ივლისის დასაწყისში იწყება. სამომავლოდ, გეგმავს აღნიშნულ რეგიონებში წასვლას და იქაური ფერმერებისათვის მომსახურების გაწევას. შემდეგ კი მშობლიურ მუნიციპალიტეტში დაბრუნდება, თავის მოსავალს მიხედავს და ადგილობრივებსაც დაეხმარება. მუნიციპალიტეტში ხმა სწრაფად გავრცელდა არმენის კომბაინის შესახებ და წელს მომსახურების მიმღებთა რიცხვმაც მოიმატა.

გრანტის თანხით შეძენილი კომბაინი თანამედროვე და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაა, რომელიც მოსავლის აღებას სწრაფად და მცირე დანაკარგით უზრუნველყოფს.

ფერმერმა ერთი ადგილობრივი მოსახლე უკვე დაასაქმა. ისინი მონაცვლეობით იმუშავებენ და იმედოვნებენ, რომ თანამედროვე კომბაინი მათ ფინასურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. საქმე კი აგვისტო-სექტემბერში ბევრი აქვთ - საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 8000 ჰა ქერი და 2000 ჰა ხორბალია დათესილი.

*ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.*

*პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.*

*ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.*